ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1505088

ნომერი: AR1252068

თარიღი : 20.09.2014

გაცემის თარიღი : 23.09.2014

გაცნობის თარიღი : 24.09.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მაგნიტოგორსკის ქუჩაზე არსებული საზოგადოებრივი რეტერატის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კნიაზ დასენი პ/ნ 01025003374
- კედიას ქ. 3, ბინა 14

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, ქ. თბილისში, მაგნიტოგორსკის ქუჩაზე არსებული საზოგადოებრივი რეტერატის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: № 01.12.08.034.008) I კლასის კომერციული ობიექტის განთავსებას .

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს.
ვინაიდამ თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთი დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმისგრაფიკულინაწილის–რუკის, მიხედვით მდებარეობს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)–ში და „ქ. თბილისის ტერიტორიისგამოყენებისადა განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცებისშესახებ" ქალაქ თბილისისსაკრებულოს 2009 წლის 27 მარტისN4-13 გადაწყვეტილების თანახმად სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს ადმინისტრაციულ საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერპექტიულ) ქუჩებს, გზებს, მოედნებს, გზატკეცილებს, ხიდებს გზაგამტარებს, დროებით ავტოსადგომებს, სარკინიგზო ხაზებს (გასხვისების ზოლის ჩათვლით), მეტროპოლიტენის მიწისზედა ხაზებს, ტრამვაის ხაზებს (ჩამონათვალის ფარგლებში –ტროტუარებს, ქუჩის მომიჯნავე გამწვანებულ ზოლებს, უსაფრთხოების კუნძულებს, გამწვანებულ გზაგამყოფებს, ტროტუარის მიმდებარე გაზონს, ზღუდარებს, დროებით ჯიხურებს, მიწისქვეშა შენობა-ნაგებობებს). ამ წესების შესაბამისად კომერციული შენობა–ნაგებობის მშენებლობა სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)-ში (სადაც ნებადართული არ არის თქვენს მიერ არჩეული ნომენკლატურის შესაბამისად I კლასის სავაჭრო ობიექტის განთავსება.)
ამასთანავე ქ. თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის #24.16.832 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის “ა” ქვეპუნქტის თანახმად სამსახურის საქმიანობის ძირითადი მიზანია მის კომპეტენციას მიკუთვნილ საკითხებთან დაკავშირებით ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ფ” ქვეპუნქტის თანახმად, სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ქალაქის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის “ე” ქვეპუნქტით, სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა-ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება, სამსახურის უფლებამოსილებიდან გამომდინარე გადასინჯოს წარმოდგენილი საპროექტო ობიექტების ვიზუალური მხარე და მისი შემდგომი განვითარების კუთხე.
ზემოაღნიშნული ვითარების გათვალისწინებით სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია აღნიშნული მიწის ნაკვეთის განვითარება როგორც არქიტექტურულ-კომპოზიციური და მხატვრულ–ესთეტიკური, ასევე ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით (არც დროებითი სტატუსით, რაც მოთხოვნის ტექსტშია ასახული), რის გამოც სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

– სამსახურის მიერ გაცემული პასუხები აღნიშნული მიწის ნაკვეთის განვითარების შესაძლებლობაზე შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე www.tas.ge (№1314588 და №1096456 გადაწყვეტილება, ასევე №1408719 ბრძანება);

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.